საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 672 2016 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

გ. თაბუაშვილისა და გ. კაკაურიძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლებად დანიშვნის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ: საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი თაბუაშვილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გიორგი კაკაურიძე.

პრემიერ-მინისტრი **გ. კვირიკაშვილი**